

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მარნეულის სოფწყალის პარტნიორს (სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტს)

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს მარნეულის სოფწყალის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს მარნეულის სოფწყალის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

- როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-12 შენიშვნაშია ახსნილი ანგარიშგების თარიღამდე დაგროვილი ნაშთიდან სამ წელზე უხნესი დავალიანებისათვის აღიარდა საეჭვო მოთხოვნების რეზერვი 692,900 ლარის ოდენობით ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის. 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ან მისი შემამცირებელი) თანხის განსაზღვრა და წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნული ფაქტი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს სტანდარტებიდან გადახვევაა. საწარმოს ბუღალტრული ჩანაწერები არ იძლევა საკრედიტო ზარალის წარსული მონაცემების და სავაჭრო მოთხოვნის ვადაგადაცილებული დღეების დადგენის შესაძლებლობას. ამასთან, ერთად საწარმოს საბუღალტრო სისტემაში სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია ჯგუფურად, რისთვისაც დამხმარე რესურსად გამოყენებულია მომხმარებლებთან საანგარიშწორებო ურთიერთობის ინდივიდუალურად აღრიცხვისათვის დანერგილი პროგრამა და ამ ორი სააღრიცხვო ბაზის მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა. საბუღალტრო სისტემა არ ითვალისწინებს სავაჭრო მოთხოვნების საპირისპირო ნაშთებს, რომლებიც ზედმეტად გადახდილი თანხების სახითაა მომხმარებელთა ინდივიდუალურ ნაშთებში წარმოდგენილი ცალკეულ შემთხვევებში. ჩვენ მიერ შედგენილი აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ამ ორი სააღრიცხვო ბაზის მიხედვით სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების შეჯერება. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავადგინეთ კონკრეტულად რა გავლენა იქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს სტანდარტებიდან გადახვევამ და დასაზუსტებლმა ნაშთმა.
- საწარმოს აღრიცხული არ აქვს და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის მარნეულის მუნიციპალიტეტის 8 სოფელში საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომელთა მთლიანი

ფართობი 45,368 კვადრატული მეტრია. ჩვენ ვერ დავადგინეთ რა თანხობრივი გავლენა ექნებოდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აღნიშნული ქონების ღირებულების ასახვას.

- 2024 წლის 31 დეკემბრამდე ჩვენ არ გვქონდა საწარმოსთან გაფორმებული გარიგება აუდიტორულ მომსახურებაზე, და შესაბამისად ვერ დავაკვირდით საანგარიშგებო და შესადარისი თარიღების მარაგის ინვენტარიზაციის პროცესს. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2023 წლის 01 იანვრისა და 31 დეკემბრისათვის, ასევე 2024 წლების 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 276,329; 282,901 და 288,302 ლარის ღირებულებებით, შესაბამისად.
- საწარმო არის მოიჯარე. იგი ვალდებული იყო, მაგრამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აქვს წარდგენილი აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ეს ფასს 16-ის „იჯარა“ მოთხოვნებიდან გადახვევას. ჩვენ ვერ დავადგინეთ ზემოთნახსენები მუხლების თანხების ოდენობა და როგორ შეიძლება შეცვლილიყო საიჯარო ქირა, რომელიც 2024 წელს ხარჯში ასახულია 33,938 ლარის ოდენობით (2023 წელი 40,500 ლარი).

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ შპს მარნეულის სოფწყალისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შპს მარნეულის სოფწყალის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც პირობითი მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ 2024 წლის 4 აპრილს.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მიხედვით შპს მარნეულის სოფწყალის მიერ მომზადებულ მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც საქმიანობის მიმოხილვის სახით მივიღეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება. ამასთან საქმიანობის მიმოხილვის შესახებ კანონით მოთხოვნილი მოსაზრება წარმოდგენილია წინამდებარე დასკვნის ქვესათაურში - „მოსაზრება სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე.“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა

კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს მარნეულის სოფწყალის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს მარნეულის სოფწყალის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოვავაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს მარნეულის სოფწყალის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს მარნეულის სოფწყალი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს მარნეულის სოფწყალის ხელმძღვანელობას, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოსაზრება სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კანონის მიხედვით შპს მარნეულის სოფწყალი ვალდებულია წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება საქმიანობის მიმოხილვის სახით.

ჩვენ მოგვეთხოვება გამოეთქვათ მოსაზრება კანონით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვით მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კანონით განსაზღვრული მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილი შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტორი

რევაზ ძაძამია

09 სექტემბერი 2025 წ.

Revaz
Dzadzamia
01025004983



Digitally signed
by Revaz
Dzadzamia
Date: 2025.09.09
16:33:58

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება**2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	4	832,455	852,038
სხვა შემოსავლები	5	4,094,382	3,678,807
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(917,846)	(957,420)
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი	6	(2,431,292)	(2,056,397)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7	(263,976)	(283,255)
ელექტროენერგიის ხარჯი		(1,012,065)	(1,078,254)
სხვა ხარჯები	8	(310,479)	(315,774)
ფინანსური შემოსავლები		8,460	8,947
მოგება დაბეგვრამდე		(361)	(151,308)
საგადასახადო ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		(361)	(151,308)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(361)	(151,308)

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	4	832,455	852,038
სხვა შემოსავლები	5	4,094,382	3,678,807
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(917,846)	(957,420)
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი	6	(2,431,292)	(2,056,397)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7	(263,976)	(283,255)
ელექტროენერგიის ხარჯი		(1,012,065)	(1,078,254)
სხვა ხარჯები	8	(310,479)	(315,774)
ფინანსური შემოსავლები		8,460	8,947
მოგება დაბეგვრამდე		(361)	(151,308)
საგადასახადო ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		(361)	(151,308)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(361)	(151,308)

შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს

დირექტორი:

აკიფ ალიევი

ფინანსური მენეჯერი (მთ. ბუღალტერი):

თინა დარბაიძე



(Handwritten signature in blue ink)

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023	1/1/2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	3,801,266	3,955,303	3,962,655
არამატერიალური აქტივები	10	30,314	35,928	41,653
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>3,831,580</u>	<u>3,991,231</u>	<u>4,004,308</u>
მიმდინარე აქტივები				
მარაგი	11	288,302	282,901	276,329
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	144,263	121,415	128,535
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	13	35,393	37,682	51,562
საგადასახადი მოთხოვნები		41,948		-
სულ მიმდინარე აქტივები		<u>509,906</u>	<u>441,998</u>	<u>456,426</u>
სულ აქტივები:		<u><u>4,341,486</u></u>	<u><u>4,433,229</u></u>	<u><u>4,460,734</u></u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		5,223,793	5,223,793	5,159,443
დაგროვილი მოგება-ზარალი		(1,992,374)	(2,070,964)	(2,007,455)
რეზერვები (გადაფასების ნამეტი)		860,837	939,788	1,027,586
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>4,092,256</u>	<u>4,092,617</u>	<u>4,179,574</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გადავადებული შემოსავალი		99,999	103,567	11,996
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>99,999</u>	<u>103,567</u>	<u>11,996</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	145,116	171,178	171,580
საგადასახადო ვალდებულებები		-	61,439	94,745
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		4,115	4,428	2,839
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>149,231</u>	<u>237,045</u>	<u>269,164</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u><u>4,341,486</u></u>	<u><u>4,433,229</u></u>	<u><u>4,460,734</u></u>

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

აქტივები	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023	1/1/2023
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	3,801,266	3,955,303	3,962,655
არამატერიალური აქტივები	10	30,314	35,928	41,653
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>3,831,580</u>	<u>3,991,231</u>	<u>4,004,308</u>
მიმდინარე აქტივები				
მარაგი	11	288,302	282,901	276,329
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	144,263	121,415	128,535
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	13	35,393	37,682	51,562
საგადასახადი მოთხოვნები		41,948		-
სულ მიმდინარე აქტივები		<u>509,906</u>	<u>441,998</u>	<u>456,426</u>
სულ აქტივები:		<u><u>4,341,486</u></u>	<u><u>4,433,229</u></u>	<u><u>4,460,734</u></u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		5,223,793	5,223,793	5,159,443
დაგროვილი მოგება-ზარალი		(1,992,374)	(2,070,964)	(2,007,455)
რეზერვები (გადაფასების ნამეტი)		860,837	939,788	1,027,586
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>4,092,256</u>	<u>4,092,617</u>	<u>4,179,574</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გადავადებული შემოსავალი		99,999	103,567	11,996
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>99,999</u>	<u>103,567</u>	<u>11,996</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	145,116	171,178	171,580
საგადასახადო ვალდებულებები		-	61,439	94,745
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		4,115	4,428	2,839
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>149,231</u>	<u>237,045</u>	<u>269,164</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u><u>4,341,486</u></u>	<u><u>4,433,229</u></u>	<u><u>4,460,734</u></u>

შპს „მარნეულის სოფწყალი“
დირექტორი:
ფინანსური მენეჯერი (მთ. ბუღალტერი)



(Handwritten signature)

აკიფ ალიევი
თინა დარბაიძე

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

	საწესდებო კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტი	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ
ნაშთი 2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	5,159,443	1,027,586	(2,007,455)	4,179,574
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი)			(151,308)	(151,308)
კაპიტალის გაზრდა	64,350			64,350
გადაფასების ნამეტის ცვლილება		(87,798)	87,798	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,223,793	939,788	(2,070,964)	4,092,617
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი)			(361)	(361)
გადაფასების ნამეტის ცვლილება		(78,952)	78,952	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,223,793	860,837	(1,992,374)	4,092,256

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტი	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ
ნაშთი 2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	5,159,443	1,027,586	(2,007,455)	4,179,574
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი)			(151,308)	(151,308)
კაპიტალის გაზრდა	64,350			64,350
გადაფასების ნამეტის ცვლილება		(87,798)	87,798	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,223,793	939,788	(2,070,964)	4,092,617
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი)			(361)	(361)
გადაფასების ნამეტის ცვლილება		(78,952)	78,952	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,223,793	860,837	(1,992,374)	4,092,256

შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს

დირექტორი:

აკიფ ალიევი

ფინანსური მენეჯერი (მთავრადგებელი):

თინა დარბაიძე



შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	31/12/2024	31/12/2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	961,950	1,015,224
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(2,209,666)	(2,293,973)
იჯარასთან დაკავშირებული გადახდები	(33,938)	(40,500)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(2,435,433)	(2,062,065)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	(3,717,087)	(3,381,314)
მიღებული სუფსიდია	4,020,499	3,675,000
გადახდილი გადასახადები	(277,805)	(209,498)
<i>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<i>25,607</i>	<i>84,188</i>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(36,356)	(106,482)
მიღებული პროცენტები	8,460	8,415
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(27,896)	(98,068)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(2,289)	(13,880)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	37,682	51,562
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	35,393	37,682

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	31/12/2024	31/12/2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	961,950	1,015,224
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(2,209,666)	(2,293,973)
იჯარასთან დაკავშირებული გადახდები	(33,938)	(40,500)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(2,435,433)	(2,062,065)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	(3,717,087)	(3,381,314)
მიღებული სუფსიდეა	4,020,499	3,675,000
გადახდილი გადასახადები	(277,805)	(209,498)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	25,607	84,188
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(36,356)	(106,482)
მიღებული პროცენტები	8,460	8,415
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(27,896)	(98,068)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(2,289)	(13,880)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	37,682	51,562
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	35,393	37,682

შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი (მთ. ბუღალტერი):

აკიფ ალიევი

თინა დარბაიძე

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

განმარტებითი შენიშვნები

1. საწარმო და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მარნეულის სოფწყალი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 434158163. შემდგომ - საწარმო.), დარეგისტრირებულია სს(ი)პ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2011 წლის 4 აპრილს. საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N 73.

საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლებში მომხმარებლებზე მიკრობიოლოგიური სტანდარტების შესაბამისად საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სასმელი-სამეურნეო წყლის მიწოდება, სარწყავი წყლის მიწოდება, წყალშემკრები და წყალგამშვები ნაგებობების გამანაწილებელი ქსელების, წყალმხარჯველი მოწყობილობების, სატუმბი სადგურების, ჭაბურღილების, სადაწნეო სარეგულაციო რეზერვუარების ექსპლოატაცია და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

საწარმო სასმელი წყლის მიწოდებასა და მომსახურებას ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით. მომხმარებელთა კატეგორიის მიხედვით. (ლიცენზია №015 გაცემულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2012 წლის 31 მაისს).

საწარმო დაფუძნებულია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 11 მარტის №3 სხდომის ოქმის საფუძველზე. საწარმოს წილის 100%-ის მფლობელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტი (234232149).

საწარმოს დირექტორია აკიფ ალიევი.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი საწარმოები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 მომზადების საფუძველი

საწარმოს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (ფასიკ) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის ანგარიშგებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება ეხება ერთ საწარმოს. იგი მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

საწარმომ პირველად გამოიყენა ფასს სტანდარტები 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი. ფასს სტანდარტებზე გადასვლით გამოწვეული კორექტირებები განმარტებულია მე-3 შენიშვნაში.

საწარმოს ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

პროცესში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

საწარმო საკუთარი შემოსავლებით ვერ უზრუნველყოფს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას. ამიტომ იგი ყოველწლიურად იღებს სუბსიდიად მისი დამფუძნებლის მხრიდან.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია ყოველი წლის დასაწყისში (და წლის განმავლობაში ცვლილებების აუცილებლობის შემთხვევებში) განიხილავს და ამტკიცებს საწარმოს ფინანსურ გეგმას, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებას ზღვრული დაფინანსების ფარგლებში. 2025 წლისთვის დამტკიცებული ფინანსური გეგმით გამოყოფილი დაფინანსება შეადგენს 3,000,000 ლარს. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება საწარმოს საკუთარ შემოსავლებთან ერთად ხელსაყრელ გარემოს ქმნის იმისათვის, რომ გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა მიზანშეწონილად მიიჩნევს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

2.3 ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

ბასს (IAS) 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“

2020 წლის იანვარში და 2020 წლის ივლისში, ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად“. ისინი განმარტავს, რომ ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად უნდა ეყრდნობოდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ უფლებებს. ცვლილებები ასევე განმარტავს, რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის მოლოდინები, გამოიყენებს თუ არა საწარმო თავის უფლებას გადაავადოს ვალდებულებების დაფარვა და რომ დაფარვა გულისხმობს კონტრაქტისთვის ფულადი სახსრების, წილობრივი ინსტრუმენტების, სხვა აქტივების ან მომსახურების გადაცემას.

ამ ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს (I ღშ) 16-ში: საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციაში

2022 წლის სექტემბერში ბასსს-მ გამოუშვა ცვლილებები ფასს 16-ში იმ მოთხოვნების დასაზუსტებლად, რომლებსაც გამყიდველი მოიჯარე იყენებს საიჯარო ვალდებულების შესაფასებლად აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში, რათა გამყიდველმა მოიჯარემ არ აღიაროს შემოსულობის ან ზარალის რამე თანხა, რომელიც უკავშირდება მის მიერ შენარჩუნებულ აქტივის გამოყენების უფლებას. ცვლილებები რეტროსპექტიულად ვრცელდება იმ უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებზე, რომლებიც განხორციელებულია ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების შემდეგ.

ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს (I შ) 7-ში და ფასს (I ღშ) 7-ში

2023 წლის მაისში ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, რომელთა მიზანია მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების თავისებურებების განმარტება და ასეთი გარიგებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ამ ცვლილებებში მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმაროს, უკეთ გაიგონ მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე და ლიკვიდობის რისკის მოცულობაზე.

ამ ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გრძელვადიანი ვალდებულებები დათქმებით – ცვლილებები ბასს 1-ში

2022 წლის 31 ოქტომბერს ბასსს-მა გამოაქვეყნა „გრძელვადიანი ვალდებულებები დათქმებით“ (ცვლილებები ბასს 1-ში), რომლებითაც განმარტა ის, თუ როგორ მოქმედებს ვალდებულების

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

კლასიფიკაციაზე პირობები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს საწარმომ საანგარიშგებო პერიოდიდან არაუგვიანეს თორმეტი თვის ვადაში. ცვლილებები გამოიყენება რეტროსპექტიულად ბასს 8-ის შესაბამისად.

ამ ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. საწარმო ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა – ცვლილება ბასს (IAS) 21-ში

ბასსს-მა გამოაქვეყნა „ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“ (ცვლილებები ბასს 21-ში), რომელიც მოიცავს დაზუსტებას იმისა, თუ როდის არის ვალუტა გადაცვლადი და როგორ უნდა განისაზღვროს სავალუტო კურსი ასეთ შემთხვევებში. ცვლილებები ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც.

ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება არსებითი გავლენა საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილება ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (ცვლილება ფასს 9-ში და ფასს 7-ში)

2024 წლის მაისში, ბასსს-მ გამოსცა ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში. ცვლილება განმარტავს, რომ ფინანსური აქტივების და ფინანსურ ვალდებულებებს აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს ანგარიშსწორების თარიღით, გარდა ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ჩვეულებრივი ყიდვისა და გაყიდვისა, რომელიც შეესაბამება ახალი გამონაკლისის პირობებს. ახალი გამონაკლისი საწარმოებს უფლებას აძლევს აირჩიონ გარკვეული ფინანსური ვალდებულებების, რომლებიც გადახდილ იქნა ელექტრონული გადახდის სისტემებით, აღიარების შეწყვეტა ანგარიშსწორების თარიღამდე. ისინი ასევე შეიცავენ სახელმძღვანელო მითითებებს ფინანსური აქტივების ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო მახასიათებლების შესაფასებლად, რომლებიც ვრცელდება ყველა პირობით ფულად ნაკადზე, მათი ჩათვლით, რომლებიც წარმოიშობა გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობასთან (ESG) დაკავშირებული მახასიათებლებიდან გამომდინარე.

გარდა ამისა, ამ ცვლილებებს შემოაქვს ინფორმაციის გამჟღავნების ახალი მოთხოვნები.

ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება არსებითი გავლენა საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კონტრაქტები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიას (ადრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში)

2024 წლის 18 დეკემბერს ბასსს-მ გამოსცა ცვლილებები, რათა გაეუმჯობესებინა საწარმოების ანგარიშგება ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის კონტრაქტების ფინანსური ეფექტების შესახებ, რომლებიც ხშირად სტრუქტურირებულია როგორც ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები (PPAs).

ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის კონტრაქტები საწარმოებს ეხმარება უზრუნველყონ ელექტროენერგიის მიწოდება ქარისა და მზის ენერგიის წყაროებიდან. ვინაიდან ამ კონტრაქტების ფარგლებში გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ამინდის პირობებთან დაკავშირებული უკონტროლო ფაქტორებიდან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვის

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

მიმდინარე მოთხოვნები შეიძლება ადეკვატურად არ ასახავდეს, თუ როგორ გავლენას ახდენს ეს კონტრაქტები საწარმოს საქმიანობაზე. საპასუხოდ, ბასს-მ შეიტანა მიზანმიმართული ცვლილებები ფასს 9 ფინანსურ ინსტრუმენტებში და ფასს 7 ფინანსურ ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები, რათა გააუმჯობესოს ამ კონტრაქტების განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ცვლილებები მოიცავს:

- „საკუთარი გამოყენების“ მოთხოვნების გამოყენების გარკვევა;
- ჰეჯირების აღრიცხვის გადაწყვეტა, თუ ეს კონტრაქტები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ახალი განმარტებების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ კონტრაქტების გავლენა საწარმოს ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

ეს ცვლილებები ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ცვლილებების ადრეული გამოყენება დასაშვებია. თუმცა, გარკვეული იურისდიქციებისთვის შესწორებები უნდა იყოს დამტკიცებული გამოყენების დაწყებამდე.

სტანდარტების წლიური გაუმჯობესება

წლიური გაუმჯობესებები შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც ან აზუსტებს ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის ფორმულირებას, ან ასწორებს შედარებით მცირე უზუსტობებს, გამოტოვებებს ან ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებს შორის შეუსაბამობებს.

შემოთავაზებული გაუმჯობესებები გაერთიანებულია ერთ დოკუმენტში. წლიური გაუმჯობესების ეს ციკლი ეხება შემდეგს:

- ჰეჯირების აღრიცხვა პირველად გამომცემლის მიერ (ცვლილებები ფასს 1-ში. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება)
- სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის გადავადებული განსხვავების განმარტება (ცვლილებები ფასს 7-ის დანერგვის სახელმძღვანელოში)
- მოგება ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას (ცვლილებები ფასს 7-ში)
- შესავალი და საკრედიტო რისკის განმარტებები (ცვლილებები ფასს 7-ის დანერგვის სახელმძღვანელოში)
- საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (ცვლილებები ფასს 9-ში)
- გარიგების ფასი (ცვლილებები ფასს 9-ში)
- „ფაქტიური აგენტის“ განსაზღვრა (შესწორებები ფასს 10-ში)
- თვითღირებულების მეთოდი (ცვლილებები ფასს 7-ში).

საბოლოო ცვლილებები გამოიცა 2024 წლის ივლისში.

ხელმძღვანელობის შფასებით ცვლილებებს პოტენციური გავლენა არ ექნება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ინფორმაციის გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლის ბასს 1-ს ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.

ფასს 18 -ის საწარმომ უნდა გამოიყენოს იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, რომელიც იწყება 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ.

ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ადგენს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის შესახებ, განსაკუთრებული აქცენტით:

- მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო ქვე ჯამების წარდგენის შესახებ. ფასს 18 შემოაქვს მოთხოვნები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემოსავლისა და ხარჯის მუხლების კლასიფიცირებისთვის ხუთი კატეგორიის მიხედვით. ეს კლასიფიკაცია იწვევს გარკვეული შუალედური ჯამების წარმოდგენას, როგორცაა შემოსავლისა და ხარჯის ყველა მუხლის ჯამი საოპერაციო კატეგორიაში, რომელიც მოიცავს ახალ სავალდებულო შუალედურ ჯამს

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

„საოპერაციო მოგება-ზარალი“.

- ინფორმაციის აგრეგირება და დეზაგრეგირება, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის აგრეგაცია და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- მენეჯმენტის მიერ განსაზღვრულ ეფექტიანობის მაჩვენებლებთან (მემ) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ მთლიან ან შუალედურ ჯამებს, შეტანილი კორექტირებით (მაგ., „კორექტირებული მოგება ან ზარალი“). საწარმოებს მოეთხოვებათ ფინანსურ ანგარიშგებაში ეფექტურობის მაჩვენებლების გამჟღავნება, მათ შორის ეფექტურობის მაჩვენებლების შეჯერება უახლოეს მთლიან ან შუალედურ ჯამებთან, რომელიც გამოითვლება ფასს სტანდარტების შესაბამისად.

ფასს 18-ის გამოქვეყნების მიზანია გააუმჯობესოს საწარმოების საქმიანობის ანგარიშგების შესადარისობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება. ფასს 18-მა ასევე გამოიწვია მცირე ცვლილებები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ფასს 19 შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 9 მაისს, ბასსს გამოსცა ფასს19 შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები.

ფასს 19 არის ნებაყოფლობითი სტანდარტი, რომელიც ვრცელდება საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე საწარმოებზე, მაგრამ რომელთა მშობლები ამზადებენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ფასს სტანდარტების შესაბამისად.

მოქმედი საწარმოებისათვის, ფასს 19 ამარტივებს ინფორმაციის გამჟღავნებას სხვადასხვა თემებზე, მათ შორის იჯარის, გაცვლითი კურსის, მოგების გადასახადების, ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგებაზე და ა.შ.

ფასს 19, სავარაუდოდ, შეამცირებს ფინანსური ანგარიშგების მომზადების ღირებულებას, ამავდროულად შეინარჩუნებს ამ ფინანსური ანგარიშგების სარგებლიანობას დაინტერესებული მხარეებისთვის.

„ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, რომელთა მიზანია მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების თავისებურებების განმარტება და ასეთი გარიგებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ამ ცვლილებებში მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმაროს, უკეთ გაიგონ მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე და ლიკვიდობის რისკის მოცულობაზე.

საწარმო ამჟამად აფასებს განახლებული სტანდარტების და ცვლილებების შესაძლო გავლენას.

2.4 გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური აქტივები

ფასს 9-ის მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური აქტივების საწყისი აღიარებისას ისინი ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ან რომლისთვისაც საწარმომ გამარტივებული მიდგომა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს 15-ის შესაბამისად.

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის საწარმოს ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებად, რომლებიც მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს.

მოთხოვნების გაუფასურება

საწარმო აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აფასებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული განაკვეთით.

მოთხოვნებისთვის საწარმო იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, საწარმო, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როცა მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენა უარყოფითად მოქმედებს მომავალში მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე. თავისი სავაჭრო მოთხოვნების უმეტესობის შემთხვევაში, საწარმო კოლექტიურად აფასებს აქტივებს საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ვადაგადაცილებული დღეების შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით. აქტივი მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულად, თუ ის ხდება ვადაგადაცილებული 90 დღით ან მეტით. გაუფასურების სხვა ნიშნებია:

- კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელები;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია;
- კონტრაქტის გადახდების სტატუსში უარყოფითი ცვლილებაა, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ისეთი ცვლილებებით, რომლებიც გავლენას ახდენს მხარეზე.

თუ მომდევნო წლის განმავლობაში სავარაუდო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოცულობა გაიზრდება ან შემცირდება, მანამდე აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მომავალი ჩამოწერილი თანხა მოგვიანებით იქნება ამოღებული, ის დაკრედიტდება მოგება-ზარალში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში, როგორც გაუფასურების შემცირება.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა - ფინანსური აქტივები

უიმედო მოთხოვნები ჩამოიწერება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ანგარიშზე მას შემდეგ, რაც აქტივის ამოღებისთვის საჭირო ყველა პროცედურა დასრულდება და ზარალის ოდენობა განისაზღვრება. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

საწარმოს ყველა ფინანსური ვალდებულება, მათ შორის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ინფრასტრუქტურული აქტივები მოიცავს სისტემების ქსელს, რომელიც შედგება სასმელი წყლის მილსადენებისგან, ამოტუმბული და დაგროვილი ნედლი წყლის შესანახი რეზერვუარებისგან. სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯი, რომელიც არ აუმჯობესებს აქტივებს, აღირიცხება საოპერაციო ხარჯად. შესყიდვის ფასის მსგავსად, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება, მათ შორის დაუმთავრებელი მშენებლობა, მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და ობიექტების დემონტაჟისა და მოხსნის მომავალი გარდაუვალი დანახარჯების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებებს.

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საწარმო ფლობს უძრავ ქონებას, რომელიც, ძირითადად, შედგება საოპერაციო ობიექტებისგან.

შენობა-ნაგებობების, მანქანა დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების ჯგუფში გაერთიანებული ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება გადაფასების მოდელით. დანარჩენი აქტივები აისახება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

უმნიშვნელო რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება ხარჯების ნაწილში მათი გაწევისთანავე. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

გადაფასებული თანხით წარდგენილი აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულების ზრდის შედეგად მიღებული ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახელწოდებით. ამასთან, გადაფასებიდან მიღებული ზრდა აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარებული იმავე აქტივის ჩამოფასების აღსადგენად.

თუ აქტივის გადაფასების შედეგად მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება, ეს შემცირება მოგებაში ან ზარალში აღიარდება. ამასთან, შემცირების თანხა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

საწარმოს მიერ მისი აქტივიდან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მიღების ხასიათის გათვალისწინებით ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი.

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არის და ხელმისაწვდომია. ძირითადი საშუალებების ცვეთის გამოსათვლელად გამოიყენება ცვეთის შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები - 5%

მანქანა დანადგარების - 8 %

სატრანსპორტო საშუალებები - 20%

საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი -20%

სატრანსპორტო საშუალებები -20%

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი უნდა აისახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა და იგი არ კლასიფიცირდება ამონაგებად.

შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას, განისაზღვროს, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად მიღებულ წმინდა შემოსულობას (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში შედის ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშები და ანაზღაურებები, რომლებიც არის მოთხოვნამდე ან აქვს 3-თვიანი ან ნაკლები თავდაპირველი ვადა და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს.

არამატერიალური აქტივები

საწარმო არამატერიალური აქტივების სახით ფლობს წყლის მოპოვების ლიცენზიებსა და შეძენილ პროგრამულ უზრუნველყოფებს.

არამატერიალური აქტივის საწყისი შეფასება ხდება თვითღირებულებით.

საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივი აისახება მისი თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის ოდენობით.

ლიცენზიების ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად გამოიყენება წრფივი მეთოდი და იგი ამორტიზდება ლიცენზიის ვადის განმავლობაში. პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზაციის თანხის გაანგარიშება ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით 15 პროცენტის ამორტიზაციის განაკვეთის გამოყენებით.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო აკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებას იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება საზღაურს, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოიპოვებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისათვის გადაცემის დაპირებით. ამონაგები წყალმომარაგებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან აღიარდება მომხმარებლისათვის მიწოდების განხორციელების მომენტში.

ამონაგები წყალმომარაგებიდან აღიარდება ყოველთვიურად, როცა დაკმაყოფილება სახელშეკრულებო ვალდებულება – მომხმარებლისთვის წყლის მიწოდება.

ამონაგები წყალმომარაგებიდან - მოიცავს თანხებს, რომლებიც ყოველთვიურად ერიცხება მომხმარებლებს მოხმარებული წყლის მოცულობის საფუძველზე (მრიცხველის ჩვენების მიხედვით) და მიწოდებული წყლის თითოეული ერთეულისთვის განსაზღვრული შესაბამისი ტარიფების გამოყენებით. საყოფაცხოვრებო მომხმარებლების შემთხვევაში, რომლებსაც არ აქვთ დამონტაჟებული მრიცხველები, ამონაგების აღიარება ხდება თითოეულ მისამართზე რეგისტრირებული მაცხოვრებლების რაოდენობის მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე თვიური ტარიფის გამოყენებით.

ქსელზე მიერთების მომსახურებისთვის დაკისრებული გადასახადი მოიცავს დაუბრუნებად თანხებს, რომლებიც წინასწარ ეკისრებათ მომხმარებლებს ქსელზე მიერთებისა და წყალმომარაგებისთვის. ქსელზე მიერთების საფასურის აღიარება წყალმომარაგებიდან მიღებული ამონაგების სახით ხდება დროთა განმავლობაში, შესაბამისი მომხმარებლის მიმართ წყლის მიწოდების ვალდებულების შესრულების პარალელურად, წყლის მრიცხველების ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში.

საოპერაციო ხარჯები აისახება მოგებაში ან ზარალში მომსახურების გამოყენებისას ფაქტის დადგომის ან ხარჯის წარმოშობისთანავე.

სახელმწიფო გრანტები

საწარმო, მისი ფუნქციის განსახორციელებლად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან იღებს ყოველწლიურ დაფინანსებას. სახელმწიფოსგან მიღებული დაფინანსება აღირიცხება როგორც სახელმწიფო გრანტი.

სახელმწიფო გრანტები არის სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება საწარმოსათვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ.

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

მიღებული სახელმწიფო გრანტები საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას ხმარდება და წლის განმავლობაში აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება სამართლიანი ღირებულებით, გადავადებული შემოსავლის სახით აღიარებით სახელწოდებით „სახელმწიფო დაფინანსება“. გრანტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ცვეთადი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ცვეთის ხარჯის შემცირების გზით.

მოგების გადასახადი

საწარმოს მიერ მიღებული წლიური მოგება არ იბეგრება მოგების გადასახადით. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება იმ პარტნიორებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, მოგების გადასახადით ასევე იბეგრება წყლის ზენორმატიული დანაკარგები. მიიჩნევა, რომ ასეთი ოპერაციის დაბეგრვა არ ექვევა ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალში და აღირიცხება, როგორც სხვა ხარჯი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადის („დღგ“, რომელიც საქართველოში 18%-ს შეადგენს) ვალდებულება წარმოიშობა საქონლის მიწოდებისას ან მომსახურების გაწევის მომენტში. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ ჩათვლის მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის დეკლარირების საფუძველზე. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღგ-ის გადახდა ნეტო-საფუძველზე. შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომლის გადახდაც ხორციელდება საანგარიშო პერიოდის დასრულებისას, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო-საფუძველზე.

3. ფასს სტანდარტების პირველად გამოყენება

ფასს სტანდარტების მიდგომით, საწარმო წარმოადგენს საზოგადოებრივი მომსახურების გამწევ სუბი-ექტს, რომელიც შექმნილია ამ დანიშნულებით და მისი მოვალეობის შესრულების ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობიდან გადაცემული აქვს წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა საკუთ-რებაში, ასევე ნაწილი უზუფრუქტის ხელშეკრულებით.

საწარმოს საწესდებო ფუნქციებისა და უზუფრუქტის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, საწარმოსა და დამფუძნებელ სამთავრობო ორგანოს შორის ურთიერთობის შინაარსი ფაქტობრივად წარმოადგენს კონცესიურ შეთანხმებას.

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე წარმოადგენს კონცესიური შეთანხმების ოპერატორს, ექვევა ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 12-ის „მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმებები“ მოქმედების სფეროში. ინფრასტრუქტურაზე ოპერატორის უფლებების აღრიცხვის წესის თანახმად ინფრასტრუქტურა, რომელიც ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 12-ის მოქმედების სფეროში ხვდება, არ უნდა აღიარდეს როგორც ოპერატორის ძირითადი საშუალება, ვინაიდან

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

მომსახურების სახელშეკრულებო შეთანხმება არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი მომსახურების ინფრასტრუქტურის გამოყენებაზე კონტროლის უფლების გადაცემას ოპერატორზე. საზოგადოებრივი მომსახურების გასაწევად ოპერატორს შეუძლია ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია ნებართვის გამცემის სახელით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით საწარმომ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღით შეწყვიტა უზუფრუქტის ხელშეკრულების შესაბამისად მიღებული გრძელვადიანი აქტივების (ინფრასტრუქტურის) და დამფუძნებლის წინაშე არსებული ვალდებულების აღიარება. აღნიშნული აქტივები დაქვემდებარებული იყო გადაფასებას და აღირიცხებოდა გადაფასებული ღირებულებით. აღიარების შეწყვეტის პრიცესმა განაპირობა ცვლილებების შესატანა საწარმოს საკუთარ კაპიტალში, რომელიც შეჯამებულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში.

ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე მომზადებული საანგარიშგებო საკუთარი კაპიტალის შეჯერება ფასს სტანდარტებით წარმოდგენილ საკუთარ კაპიტალთან

საკუთარი კაპიტალის შეჯერება	31/12/2024	31/12/2023	01/01/2023
საწარმოს საკუთარი კაპიტალი ფასს სტანდარტებზე			
გადასვლამდე	1,006,998	1,671,966	2,194,309
კორექტირება ძირითადი საშუალებების აღიარების			
შეწყვეტის შედეგად	(18,542)	(18,542)	(18,542)
კორექტირება გადაფასების ზარალის შესწორებიდან	1,621,479	1,621,479	1,621,479
კორექტირება არასწორად აღრიცხული ძირითადი			
საშუალებების ცვეთის შესწორებიდან	2,014,262	1,420,830	898,487
კორექტირება ძირითადი საშუალებების გადაფასების			
შედეგების აღიარების გაუქმებიდან	383,027	383,027	383,027
საგადასახადო ხარჯის კორექტირება	(57,497)	(57,497)	(57,497)
ვალდებულების აღიარების შეწყვეტა	351	351	351
საექვო მოთხოვნების რეზერვის შექმნა	(692,900)	(692,900)	(692,900)
სხვა აქტივების აღიარების შეწყვეტა	(150,010)	(150,010)	(150,010)
სუბსიდიის აღიარება სრულ შემოსავალში	72,096	560	560
სხვა კორექტირებები	310	310	310
საწარმოს საკუთარი კაპიტალი ფასს სტანდარტების	4,179,574	4,179,574	4,179,574
შესაბამისად			
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	(361)	(151,308)	
კაპიტალის გაზრდა		64,350	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4,092,256	4,092,617	

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფასს სტანდერტებზე გადასვლამდე მომზადებული მთლიანი სრული შემოსავლის შეჯერება ფასს სტანდარტებით წარმოდგენილ მთლიანი სრული შემოსავალთან

	2024 წელი	2023 წელი
მთლიანი სრული შემოსავლის შეჯერება		
საწარმოს წლიური მთლიანი სრული შემოსავალი ფასს სტანდერტებზე გადასვლამდე	(664,967)	(587,249)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯის კორექტირება ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტასთან დაკავშირებით	617,203	489,458
ქონების გადასახადის ხარჯის კორექტირება	(24,134)	(54,048)
კორექტირება სახელმწიფო გრანტის შემოსავლად აღიარების შედეგად	71,536	
საპროცენტო შემოსავლები		532
საწარმოს წლიური მთლიანი სრული შემოსავალი ფასს სტანდერტების შესაბამისად	(361)	(151,308)

4. ამონაგები

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი სასმელი წყლის მიწოდებიდან	768,418	718,420
შემოსავალი ტექნიკური წყლის მიწოდებიდან	50,406	101,439
შემოსავალი სარწყავი წყლის მიწოდებიდან	2,106	15,230
წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებით მიღებული შემოსავალი	11,525	16,949
სულ ამონაგები წყალმომარაგებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან	832,455	852,038

5. სხვა შემოსავალი

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავლებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები	4,020,499	3,675,000
აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები	73,883	3,807
სულ სხვა შემოსავალი	4,094,382	3,678,807

6. დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

	2024 წელი	2023 წელი
ხელფასები	2,175,130	1,873,671
პრემიები	224,899	156,649
საპენსიო სენატანები დასაქმებულების სასარგებლოდ	31,264	26,076
სულ გასამრჯელოები	2,431,292	2,056,397

7. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯის მუხლში ჩართულია არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია, რომელმაც 2024 წელს შეადგინა 5,615 ლარი (2023 წელი - 3,892 ლარი).

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

8. სხვა ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
რემონტის დანახარჯები	4,637	12,326
სხვა საოპერაციო ხარჯები	70,207	53,577
საიჯარო ქირა	33,938	40,500
კომუნიკაციის ხარჯები	6,089	6,611
დაზღვევა	2,808	2,592
რემონტი	150	-
კომპიუტერის ხარჯები	750	410
საკონსულტაციო ხარჯები	9,245	1,470
სხვა საგადასახადო ხარჯი	170,916	193,358
საბანკო მომსახურება	119	148
სხვა საერთო ხარჯი	6,420	4,782
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	5,200	
სულ სხვა ხარჯი	310,479	315,774

იჯარასთან დაკავშირებით საწარმოდან გასული ფულადი ნაკადების ჯამური თანხა 2024 წელს შეადგენს 33,938 ლარს (2023 წელი - 40,500 ლარი).

9. ძირითადი საშუალებები

შენობა-ნაგებობების, მანქანა დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების ჯგუფში გაერთიანებული ძირითადი საშუალებების გადაფასება მოხდა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გადაფასებული ღირებულება დადგენილია შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის სერტიფიცირების ორგანოს სერტიფიკატის მფლობელი დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელმაც შეფასების დასკვნა მოამზადა 2022 წლის 30 ივნისის თარიღით.

	მიწა და შენობა- ნაგებობე ბი	მანქანა დანადგა რები	ოფისის აღჭურვ ილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანს პორტო საშუალ ეები	დაუმონტ აჟებული მოწყობი ლობა	ჯამი
პირვანდელი ღირებულება							
ნაშთი 2023 წლის 01							
იანვრისათვის	3,104,425	2,305,230	22,401	18,496	119,400	24,183	5,594,136
შემოსვლა	70,204	107,223	949		85,597	112,683	376,657
გასვლა						(106,480)	(106,480)
ნაშთი 2023 წლის 31							
დეკემბრისათვის	3,174,630	2,412,453	23,350	18,496	204,997	30,387	5,864,313
შემოსვლა	71,031	25,230	4,394			29,818	130,472
გასვლა						(26,148)	(26,148)
ნაშთი 2024 წლის 31							
დეკემბრისათვის	3,245,660	2,437,683	27,743	18,496	204,997	34,056	5,968,636

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დაგროვილი ცვეთა

ნაშთი 2023 წლის 01

იანვრისათვის

დარიცხული წლის

განმავლობაში

გასვლები და ჩამოწერა

ნაშთი 2023 წლის 31

დეკემბრისათვის

დარიცხული წლის

განმავლობაში

გასვლები და ჩამოწერა

ნაშთი 2024 წლის 31

დეკემბრისათვის

							-
	929,564	626,181	15,253	14,200	46,283		1,631,481
	112,239	143,454	1,286	859	19,690		277,529
							-
	1,041,803	769,635	16,540	15,059	65,973		1,909,010
	108,482	131,699	1,279	687	16,213		258,360
							-
	1,150,285	901,334	17,819	15,746	82,186		2,167,370

საბალანსო ღირებულება

2023 წლის 01

იანვრისათვის

2023 წლის 31

დეკემბრისათვის

2024 წლის 31

დეკემბრისათვის

	2,174,861	1,679,049	7,148	4,296	73,117	24,183	3,962,655
	2,132,827	1,642,818	6,810	3,437	139,024	30,387	3,955,303
	2,095,375	1,536,349	9,925	2,750	122,811	34,056	3,801,266

10. არამატერიალური აქტივები

პირვანდელი ღირებულება

ნაშთი 2023 წლის 01 იანვრისათვის

შემოსვლა

გასვლა

ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის

შემოსვლა

გასვლა

ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის

ლიცენზიები პროგრამული
უზრუნველყოფა ჯამი

	88,000	8,722	96,722
			-
			-
	88,000	8,722	96,722
			-
			-
	88,000	8,722	96,722
			-
	51,267	3,802	55,069
	4,986	738	5,725
			-
	56,253	4,540	60,794
	4,988	627	5,615
			-
	61,241	5,167	66,409

ამორტიზაცია

ნაშთი 2023 წლის 01 იანვრისათვის

დარიცხული წლის განმავლობაში

გასვლები და ჩამოწერა

ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის

დარიცხული წლის განმავლობაში

გასვლები და ჩამოწერა

ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის

			-
			-
	36,733	4,920	41,653
	31,747	4,182	35,928
	26,759	3,555	30,314

საბალანსო ღირებულება

2022 წლის 31 დეკემბრისათვის

2023 წლის 31 დეკემბრისათვის

2024 წლის 31 დეკემბრისათვის

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

11. მარაგი

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023	01 იანვარი, 2023
ნედლეული და მასალები	2,855	3,830	208
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	285,446	279,072	276,120
სულ მარაგი	288,302	282,901	276,329

საანგარიშგებო პერიოდში ხარჯებად აღიარებული მარაგის თვითღირებულება შეადგენს 917,846 ლარს (2023 წელი -957,420 ლარი).

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმომ ფასს სტანდარტებზე გადასვლის მომენტში გაანალიზა სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი. იმის გათვალისწინებით, რომ სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ სემეკის N 32 დადგენილების (28.11.2008) თანახმად, დაუშვებელია მომხმარებლის პირდაპირი მითითების გარეშე, წყალმომარაგების ლიცენზიატისთვის გადახდილი თანხის მიმართვა იმ დავალიანების დასაფარად, რომლის წარმოშობის მომენტიდან გასულია 3 წელზე მეტი და რომელიც მომხმარებელს პირდაპირი წერილობითი ფორმით არ უღიარებია ან/და არ არსებობს მხარეთა შორის შეთანხმება ამ დავალიანების გადანაწილებაზე, და რადგან საწარმოს არ გააჩნია ასეთი შეთანხმება, ანგარიშგების თარიღამდე დაგროვილი ნაშთის მიმართ, სამ წელზე უხნესი დავალიანებისათვის აღიარდა საექვო მოთხოვნების რეზერვი 692,900 ლარის ოდენობით ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის.

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023	01 იანვარი, 2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან -სასმელი წყალი	764,706	740,488	734,916
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან -მელიორაცია	19,549	19,569	18,406
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან - ტექნიკური წყალი	40,641	42,671	56,085
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(692,900)	(692,900)	(692,900)
სხვა მოთხოვნები	12,267	11,589	12,027
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	144,263	121,415	128,534

მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების მიღება მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არა უმეტეს თორმეტი თვეში.

სხვა მოთხოვნები წარმოადგენს გადახდის უზრუნველყოფის მიზნით მომწოდებლებისათვის წინასწარ გადახდილ თანხებს.

13. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023	01 იანვარი, 2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	29,471	27,304	46,324
ფული საგადახდო მომსახურების პროვაიდერებთან	5,921	10,378	5,238
სულ ფულადი სახსრები	35,393	37,682	51,562

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საწარმო ფულად ოპერაციებს ახორციელებს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საქართველოს კომერციულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთები კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე და არ არის გაუფასურებული. მომხმარებლების მიერ საგადახდო სისტემის გამოყენებით გადახდილი ფული 5-10 დღის ვადაში ჩაირიცხება საწარმოს საბანკო ანგარიშზე. საგადახდო მომსახურების პროვიდერებთან არსებული ნაშთი ფაქტობრივად არის „ფული გზაში“.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023	01 იანვარი, 2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	145,116	171,178	170,580
მიღებული ავანსები	-	-	1,000
სულ	<u>145,116</u>	<u>171,178</u>	<u>171,580</u>

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არა უმეტეს თორმეტი თვეში.

15. უზუფრუქტი

საწარმო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებების თანახმად უვადო სარგებლობის უფლებით ფლობს მიწის ნაკვეთებს, მათზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებსა და წყალსადენ მილებს. საწარმო ვალდებულია:

- მოუაროს მიღებულ ქონებას;
- დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა ტექნიკური უსაფრთხოების წესები, სანიტარული მოთხოვნები;
- ქონების დაზიანების შემთხვევაში აღმოხვრას დაზიანება თავისი ხარჯებით;
- ქონების ნორმალური ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად ჩაუტაროს ქონებას საკუთარი ხარჯებით მიმდინარე რემონტი და გაუმჯობესებანი
- აუნაზღაუროს ქონების მესაკუთრეს ყოველგვარი ზიანი, რომელიც ქონებას მიადგება საწარმოს არამართლზომიერი ქმედების შედეგად.

16. აუდიტორის მიერ მისაღები თანხა

წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად აუდიტორული ფირმისათვის გადასახდელი ანაზღაურება დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით შეადგენს 36910 ლარს.

17. ფინანსური ინსტრუმენტების რისკი

რისკების მართვის მიზნები და პოლიტიკა

საწარმოს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შესაძლებელია წარმოიშვას სხვადასხვა რისკი. საწარმოს ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კატეგორიის მიხედვით მოტანილია 11-13 შენიშვნაში.

რისკების ძირითადი ტიპებია საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდობის რისკი.

საწარმოს რისკების მართვა ფოკუსირებულია მოკლევადიანი და საშუალოვადიანი ფულადი ნაკადების აქტიურად უზრუნველყოფაზე არასტაბილური ფინანსური ბაზრების ზემოქმედების მინიმიზაციის გზით.

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საწარმო არ მონაწილეობს ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არც ოფციონების გაყიდვაში. საწარმოს წინაშე არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

17.1 საბაზრო რისკის ანალიზი

საწარმოს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო არ ექვემდებარება საბაზრო რისკს, რადგან საოპერაციო საქმიანობაში არ იყენებს ფულად ნაკადებს უცხოურ ვალუტაში და ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლისთვისაც აუცილებელია საპროცენტო განაკვეთის გამოყენება.

17.2 საკრედიტო რისკის ანალიზი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს საწარმოს წინაშე არსებულ ვალდებულებას. საწარმო ექვემდებარება საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებიდან, მათ შორის ბანკებში არსებული ნაღდი ფულიდან და ნაღდი ფულის ეკვივალენტებიდან, სავაჭრო და სხვა მისაღები თანხებიდან.

საკრედიტო რისკის მართვა

ბანკებში არსებული ნაღდი ფულის ნაშთებთან და ბანკებში დეპოზიტებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის გზით და ხორციელდება მხოლოდ რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებთან.

საწარმოს მიმდინარე საკრედიტო რისკი იმართება მიმდინარე მოთხოვნების ანალიზის რეგულარული განხილვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება მოიცავს მომხმარებელთა დიდ რაოდენობას. საწარმო არ ფლობს რაიმე უზრუნველყოფას სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთზე თითოეული წლიური ანგარიშგების თარიღისთვის.

გარდა ამისა, საწარმო არ ფლობს რაიმე უზრუნველყოფას სხვა ფინანსურ აქტივებთან (მაგ. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები ბანკებში) დაკავშირებით თითოეული წლიური ანგარიშგების თარიღისთვის.

საწარმო იყენებს IFRS 9-ის გამარტივებულ მოდელს, რომელიც აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებს ყველა სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის, რადგან ამ პუნქტებს არ აქვთ მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტი.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გაზომვისას, სავაჭრო დებიტორული დავალიანება შეფასდა კოლექტიურად, რადგან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. ისინი დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. მოსალოდნელი დანაკარგების მაჩვენებლები ეფუძნება გაყიდვების გადახდის პროფილს ბოლო 48 თვის განმავლობაში, შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრამდე და 2023 წლის 31 დეკემბრამდე, ასევე შესაბამის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგებს ამ პერიოდში. ისტორიული მაჩვენებლები კორექტირებულია მიმდინარე და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების ასახვის მიზნით, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებლის მიერ დავალიანების დაფარვის უნარზე.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება ჩამოიწერება (ანუ აღიარების შეწყვეტა ხდება), როდესაც არ არსებობს ანაზღაურების გონივრული მოლოდინი. მოთხოვნების წარმოშობიდან 3 წლის განმავლობაში გადახდების განუხორციელებლობა და გადახდაზე დამატებითი შეთანხმების არარსებობა, ანაზღაურების გონივრული მოლოდინის არარსებობის ინდიკატორებად ითვლება და მათ მიმართ იქმნება საექვო მოთხოვნების რეზერვი.

17.3 ლიკვიდობის რისკის ანალიზი

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს, რომ საწარმომ შესაძლოა ვერ შეძლოს თავისი ვალდებულებების შესრულება. საწარმო არ ფლობს გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებს და, შესაბამისად, არ გააჩნია ამ ვალდებულებების ლიკვიდობის მართვის საჭიროება.

მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების რისკის მართვა ხდება ყოველდღიური საქმიანობისთვის გადასახდელი ფულადი ნაკადების პროგნოზირებული შემოდინებისა და გადინების მონიტორინგით. ამ ფულადი ნაკადების ანალიზისთვის გამოყენებული მონაცემები შეესაბამება ქვემოთ მოცემულ სახელშეკრულებო ვადის ანალიზში გამოყენებულ მონაცემებს.

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საწარმოს მიზანია შეინარჩუნოს ნაღდი ფული ლიკვიდობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მინიმუმ 30 დღის განმავლობაში. ეს მიზანი ანგარიშგების პერიოდისთვის მიღწეული იქნა.

საწარმო ლიკვიდობის რისკის შეფასებისა და მართვისას ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, კერძოდ, მის ფულად რესურსებსა და სავაჭრო მოთხოვნებს, ითვალისწინებს. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებიდან ფულადი ნაკადები კონტრაქტით გათვალისწინებულია ერთი თვის განმავლობაში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწარმოს ვალდებულებები წრმოდგენილია სავაჭრო ვალდებულებით, რომლის დაფრვის ვადა განსაზღვრულია ერთი თვით. საწარმოს არსებული ფულადი რესურსები და სავაჭრო დებიტორული დავალიანება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღემატება ფულადი გადინების მიმდინარე მოთხოვნებს.

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023	01 იანვარი, 2022
მოწოდებიდან და მომსახურებიდან			
წარმოქმნილი ვალდებულებები	145,116	171,178	170,580
ფულადი სახსრები	35,393	37,682	51,562
მოთხოვნები მიწოდებიდან და			
მომსახურებიდან	131,996	109,828	116,507
სულ მოკლევადიანი აქტივები	167,389	147,510	168,069
აქტივების მეტობა ვალდებულებებზე	22,273	(23,667)	(2,510)

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საწარმოები, სახელმწიფო დაწესებულებები და უწყებები, რომელთანაც ჩვეულებრივი საქმიანი ურთიერთობა აქვთ საწარმოს, ბასს 24-ის მიხედვით არ განიხილებიან დაკავშირებულ მხარეებად. შესაბამისად, დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ ქვემოთმოტანილ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მხოლოდ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურების შესახებ. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება შედგება მხოლოდ დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოებისაგან და მოიცავს საწარმოს დირექტორისა და მისი მოადგილეების გასამრძელოებს.

	2024 წელი	2023 წელი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	130,755	119,105
სულ	130,755	119,105

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლიური ფინანსური ანგარიშგება დირექტორმა დაამტკიცა 2025 წლის 8 სექტემბერს.

შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს დირექტორი:

აკიფ ალიევი

შპს „მარნეულის სოფწყალი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საწარმოს მიზანია შეინარჩუნოს ნაღდი ფული ლიკვიდობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მინიმუმ 30 დღის განმავლობაში. ეს მიზანი ანგარიშგების პერიოდისთვის მიღწეული იქნა.

საწარმო ლიკვიდობის რისკის შეფასებისა და მართვისას ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, კერძოდ, მის ფულად რესურსებსა და სავაჭრო მოთხოვნებს, ითვალისწინებს. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებიდან ფულადი ნაკადები კონტრაქტით გათვალისწინებულია ერთი თვის განმავლობაში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწარმოს ვალდებულებები წრმოდგენილია სავაჭრო ვალდებულებით, რომლის დაფრვის ვადა განსაზღვრულია ერთი თვით. საწარმოს არსებული ფულადი რესურსები და სავაჭრო დებიტორული დავალიანება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღემატება ფულადი გადინების მიმდინარე მოთხოვნებს.

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023	01 იანვარი, 2022
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	145,116	171,178	170,580
ფულადი სახსრები	35,393	37,682	51,562
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	131,996	109,828	116,507
სულ მოკლევადიანი აქტივები	167,389	147,510	168,069
აქტივების მეტობა ვალდებულებებზე	22,273	(23,667)	(2,510)

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საწარმოები, სახელმწიფო დაწესებულებები და უწყებები, რომელთანაც ჩვეულებრივი საქმიანი ურთიერთობა აქვთ საწარმოს, ბასს 24-ის მიხედვით არ განიხილებიან დაკავშირებულ მხარეებად. შესაბამისად, დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ ქვემოთმოტანილ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მხოლოდ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურების შესახებ. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება შედგება მხოლოდ დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოებისაგან და მოიცავს საწარმოს დირექტორისა და მისი მოადგილეების გასამრჯელოებს.

	2024 წელი	2023 წელი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	130,755	119,105
სულ	130,755	119,105

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლიური ფინანსური ანგარიშგება დირექტორმა დაამტკიცა 2025 წლის 8 სექტემბერს.

შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს დირექტორი:

აკიფ ალიევი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს „მარნეულის სოფწყალი“

2024 წლის

მმართველობის ანგარიშგება



(საქმიანობის მიმოხილვა)

მომზადებულია ფირმის მენეჯმენტის მიერ

2025

სარჩევი:

1. ინფორმაცია საწარმოს შესახებ	3
2. ძირითადი საქმიანობა	3
3. რისკების მიმოხილვა.....	4
4. დასაქმება.....	5
5. სამომავლო გეგმები	6

1. ინფორმაცია საწარმოს შესახებ

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, შპს „მარნეულის სოფწყალი“ (საწარმო), როგორც საზოგადოებრივი დაინტერესები პირი, ვალდებულია შეადგინოს და წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება საქმიანობის მიმოხილვის სახით.

დანიშნულებიდან გამომდინარე, დოკუმენტი ასახავს საწარმოს საქმიანობის შინაარსს, მოიცავს მიღწეულ შედეგებს, ფაქტობრივ მაჩვენებლებსა და განვითარების პერსპექტივას.

ანგარიშგების მიზანია წარმოვადგინოთ საწარმოს საქმიანობის სპექტრი და ჩვენი განზრახვა გავზარდოთ არსებული ბიზნესი, მომსახურების ხარისხი და ეფექტურობა.

საწარმო მოწადინებულია გააგრძელოს საქმიანობა და განახორციელოს ღიაობის პრინციპი კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმითა და მოცულობით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მარნეულის სოფწყალი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 434158163), დარეგისტრირებულია სს(ი)პ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2011 წლის 4 აპრილს. საწარმოს იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N 73.

საწარმოს დამფუძნებელი და წილის 100%-ის მფლობელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტი (234232149).

საწარმოს დირექტორია აკივ ალიევი.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი საწარმოები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

შპს „მარნეულის სოფწყალი“ შექმნილია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 11 მარტის №3 სხდომის ოქმის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 22 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

2. ძირითადი საქმიანობა

საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლებში მომხმარებლებზე მიკრობიოლოგიური სტანდარტების შესაბამისად საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სასმელი-სამეურნეო წყლის მიწოდება, სარწყავი წყლის მიწოდება, წყალშემკრები და წყალგამშვები ნაგებობების გამანაწილებელი ქსელების, წყალმხარჯველი მოწყობილობების, სატუმბო სადგურების, ჭაბურღილების, სადაწნევო სარეგულაციო რეზერვუარების ექსპლოატაცია და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2023 წლის 26 იანვრის №3/1 გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული ლიცენზია №021, სერიით 3).

საწარმოს წყლის მიწოდების ბუნებრივი მონოპოლია გააჩნია მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლებში. საწარმო სასმელი წყლის მიწოდებასა და მომსახურებას ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით. მომხმარებელთა კატეგორიის მიხედვით.

შპს „მარნეულის სოფწყალი“ ოპერირებს წყალმომარაგების სფეროში და შესაბამისად ექვევა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კანონის რეგულაციების ქვეშ. საწარმოს დაგეგმარება, მოიცავს ადგილობრივი ნორმატივებისადმი შესაბამისობის დაცვას, დანერგილი პროცედურები ქმნის მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოსა და რეგულაციების დაკმაყოფილების გარანტიას.

შპს „მარნეულის სოფწყალი“ მომხმარებლებს სასმელ წყალს აწვდის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის 2013 წლის 16 იანვრის №1 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფით, ხოლო სარწყავი წყალის მიწოდება ხდება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 ივლისის №41 განკარგულების საფუძველზე.

საწარმოს წყალმომარაგების სხვადასხვა წყარო გააჩნია. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 სექტემბრის №62 განკარგულებით შპს „მარნეულის სოფწყალ“-სა და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“-ს შორის გაფორმებულია წყლის შესყიდვის ხელშეკრულება. გარდა ამისა ხორციელდება მიწისქვეშა წყალაღება. მიწისქვეშა წყლის აღება ხდება საწარმოს საკუთრებაში არსებული ჭაბურღილებიდან, წყლის მოპოვების სათანადო ლიცენზიების საფუძველზე. სარწყავი წყლის მოპოვება ხდება ზედაპირული წყლებიდან.

წყალმომარაგების მომსახურების ბიზნესი დამოკიდებულია სახელმწიფო სუბსიდიასა და კერძო საწარმოსგან და მოსახლეობიდან მიღებულ შემოსავალზე.

საწარმო ცდილობს შეამციროს სახელმწიფო სუბსიდიის დამოკიდებულება შემოსავლების სხვა წყაროების მოძიების ხარჯზე. ასევე საწარმო ცდილობს შეამციროს წყალმომარაგების დანაკარგების რისკი და დაიყვანოს იგი მინიმუმამდე.

ფასების შემცირებამ ან გაზრდილმა გადახდის ვადამ შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს შემოსავალსა და მომგებიანობაზე და ასევე ლიკვიდობაზე.

საწარმო ორიენტირებულია მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებაზე. ამისათვის, ყველა განყოფილებაში ინერგება ხარისხის მუდმივი მონიტორინგის სისტემა. ამასთანავე, დიდი ყურადღება ექცევა ჰიგიენასა და ეპიდზედამხედველობას, რაც ინფექციების გავრცელების პრევენციის საწინდარია.

დამოუკიდებელი სამსახურის მიერ ხდება უსაფრთხოებისა და წყალმომარაგების სტანდარტების შემუშავება და ამ სტანდარტების შესრულების მუდმივი მონიტორინგი. სამსახურის მიზანია პოტენციურად სახიფათო პროცედურების გამოვლენა და ზიანის შემცირება/არიდება. ამ მიმართულებით მუშაობის ანგარიშები მუდმივად მიეწოდება ადმინისტრაციას დროული რეაგირებისთვის.

3. რისკების მიმოხილვა

საწარმოს რისკების მართვა ფოკუსირებულია მოკლევადიანი და საშუალოვადიანი ფულადი ნაკადების აქტიურად უზრუნველყოფაზე არასტაბილური ფინანსური ბაზრების ზემოქმედების მინიმიზაციის გზით.

საწარმო არ მონაწილეობს ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არც ოფციონების გაყიდვაში. საწარმოს წინაშე არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

საბაზრო რისკის ანალიზი

საწარმოს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო არ ექვემდებარება საბაზრო რისკს, რადგან საოპერაციო საქმიანობაში არ იყენებს ფულად ნაკადებს უცხოურ ვალუტაში და ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლისთვისაც აუცილებელია საპროცენტო განაკვეთის გამოყენება.

საკრედიტო რისკის ანალიზი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს საწარმოს წინაშე არსებულ ვალდებულებას. საწარმო ექვემდებარება საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებიდან, მათ შორის ბანკებში არსებული ნაღდი ფულიდან და ნაღდი ფულის ეკვივალენტებიდან, სავაჭრო და სხვა მისაღები თანხებიდან.

ბანკებში არსებული ნაღდი ფულის ნაშთებთან და ბანკებში დეპოზიტებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის გზით და ხორციელდება მხოლოდ რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებთან.

საწარმოს მიმდინარე საკრედიტო რისკი იმართება მიმდინარე მოთხოვნების ანალიზის რეგულარული განხილვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება მოიცავს მომხმარებელთა დიდ რაოდენობას. საწარმო არ ფლობს რაიმე უზრუნველყოფას სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთზე თითოეული წლიური ანგარიშგების თარიღისთვის.

გარდა ამისა, საწარმო არ ფლობს რაიმე უზრუნველყოფას სხვა ფინანსურ აქტივებთან (მაგ. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები ბანკებში) დაკავშირებით თითოეული წლიური ანგარიშგების თარიღისთვის.

ლიკვიდობის რისკის ანალიზი

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს, რომ საწარმომ შესაძლოა ვერ შეძლოს თავისი ვალდებულებების შესრულება. საწარმო არ ფლობს გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებს და, შესაბამისად, არ გააჩნია ამ ვალდებულებების ლიკვიდობის მართვის საჭიროება.

მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების რისკის მართვა ხდება ყოველდღიური საქმიანობისთვის გადასახდელი ფულადი ნაკადების პროგნოზირებული შემოდინებისა და გადინების მონიტორინგით. ამ ფულადი ნაკადების ანალიზისთვის გამოყენებული მონაცემები შეესაბამება ქვემოთ მოცემულ სახელშეკრულებო ვადის ანალიზში გამოყენებულ მონაცემებს.

საწარმოს მიზანია შეინარჩუნოს ნაღდი ფული ლიკვიდობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მინიმუმ 30 დღის განმავლობაში. ეს მიზანი ანგარიშგების პერიოდისთვის მიღწეული იქნა.

საწარმო ლიკვიდობის რისკის შეფასებისა და მართვისას ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, კერძოდ, მის ფულად რესურსებსა და სავაჭრო მოთხოვნებს, ითვალისწინებს. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებიდან ფულადი ნაკადები კონტრაქტით გათვალისწინებულია ერთი თვის განმავლობაში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწარმოს ვალდებულებები წმოდგენილია სავაჭრო ვალდებულებით, რომლის დაფრვის ვადა განსაზღვრულია ერთი თვით. როგორც ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, საწარმოს არსებული ფულადი რესურსები და სავაჭრო დებიტორული დავალიანება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღემატება ფულადი გადინების მიმდინარე მოთხოვნებს.

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023	01 იანვარი, 2022
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	145,116	171,178	170,580
ფულადი სახსრები	35,393	37,682	51,562
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	131,996	109,828	116,507
სულ მოკლევადიანი აქტივები	167,389	147,510	168,069
აქტივების მეტობა ვალდებულებებზე	22,273	(23,667)	(2,510)

4. დასაქმება

შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს სერვისების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია საწარმოს უნარზე აიყვანოს, დაატრენინგოს და შეინარჩუნოს შესაბამისი რაოდენობით კვალიფიციური სპეციალისტები, რათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაუწიოს მომხმარებელს მომსახურება.

საწარმო თანამშრომლებს სთავაზობს სტაბილურ სამუშაო პირობებს და კარიერული ზრდის შესაძლებლობებს, მოქმედებს შრომის კოდექსის ნორმების შესაბამისად, იცავს დასაქმებულთა უფლებებს და უსაფრთხოების ნორმებს.

შრომითი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილია სწავლებები და თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სტანდარტების სრულიად ავტომატიზებული სისტემები. ასევე, ფუნქციონირებს დაბინძურების რისკის სისტემური შეფასების მექანიზმი;

ჩვენ გვჯამს, რომ ჩვენი ყველაზე დიდი აქტივი ჩვენივე თანამშრომლებია. მიგვაჩნია, რომ საწარმოს წარმატებას განსაზღვრავს თითოეული თანამშრომელი ნებისმიერ დეპარტამენტში ნებისმიერ თანამდებობაზე. ამიტომ საწარმოს აქვს შემდეგი პოლიტიკა:

- თანამშრომელთა მუდმივი გადამზადება და ტრენინგები. ჩვენ რეგულარულად ვატარებთ ჩვენი თანამშრომლებისთვის ტრენინგებს და ვეხმარებით მათ განვითარებაში;

- მაქსიმალური გამჭვირვალობა და ჩართულობა. ჩვენ ვცდილობთ, რომ თითოეულ თანამშრომელს ჰქონდეს ხედვა საწარმოში მიმდინარე მოვლენებზე, გაცნობიერებული ჰქონდეს საწარმოს სტრატეგია და მოქმედებდეს ამ სტრატეგიის შესაბამისად საწარმოს საკეთილდღეოდ. ჩვენი მიზანია თითოეული

თანამშრომელი მაქსიმალურად ჩართული იყოს ყველა შესაბამის პროცესში და თავს გრძნობდეს საწარმოს და ჩვენი გუნდის ნაწილად.

ახალი კადრების მოძიებისას ვცდილობთ, რომ მათ შევთავაზოთ მაქსიმალურად ხელსაყრელი და კონკურენტული პირობები. ამ პოლიტიკამ განაპირობა, რომ ჩვენ თანამშრომელთა მნიშვნელოვან ნაწილს დიდი გამოცდილება აქვს სასმელი და სარწყავი სისტემების მომსახურების სფეროში.

5. სამომავლო გეგმები

2025 წლისთვის საწარმოს გეგმებია:

- ფინანსური მოგების მიღება;
- მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდა;
- გადახდის ტექნოლოგიების დახვეწა და უფრო მეტად განვითარება;
- თანამშრომელთა განვითარება და მეტი ჩართულობის მიღწევა.

საწარმოს მიზანია, რომ 2025 წელს ფინანსური მოგება აჩვენოს, რათა მიღებული მოგებით კიდევ უფრო მეტად შეძლოს თავისი მომსახურების განვითარება.

საწარმოს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პროვაიდერებთან: შპს „ოპპა“-ს, შპს „თიბისი ფეი“-ს, სს „ლიბერთი ბანკ“-სა და სს „საქართველოს ბანკი“-ს შორის, რომელთა საგადახდო არხების საშუალებით აბონენტები ახორციელებენ მოხმარებული წყლის ღირებულების ანაზღაურებას.

ხარისხის კონტროლი, შენარჩუნება და გაუმჯობესება ჩვენთვის ნომერ პირველი პრიორიტეტია. ხარისხის კონტროლისთვის მნიშვნელოვან მექანიზმად კვლავაც მიგვაჩნია უკუკავშირის დეტალური განხილვა. ამას გარდა ვაპირებთ უკმაყოფილო მომხმარებელთა პროცენტული მაჩვენებლების დათვლას და დინამიკის შესწავლას.

ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირი

მმართველობის ანგარიშების წარდგენაზე პასუხისმგებელია საწარმოს მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს დირექტორი:

აკიფ ალიევი

Akif
Aliev
28001000923



Digitally signed
by Akif Aliev
Date: 2025.09.08
15:18:00